აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს და მისი ტერიტორიული ორგანოების არქივების მიერ 2019 წელს გეგმის შესრულების

ა ნ გ ა რ ი შ ი

აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველო მუშაობას წარმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივთან შეთანხმებული ძირითად ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად.

მიმდინარე წელს საარქივო სამმართველოს და მის ტერიტორიულ ორგანოების არქივების მიერ, მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა დოკუმენტების დაცვისა და შენახვის უზრუნველყოფის, აღრიცხვის, დოკუმენტების საინფორმაციო-საძიებო სისტემის შექმნისა და განვითარების, საქმისწარმოების ორგანიზაციის, დოკუმენტების ფორმირების, მათი შემფასებელი ექსპერტიზის და საუწყებო შენახვის, დოკუმენტების გამოყენების და პუბლიკაციის, სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება-განმტკიცებისათვის.

I – დოკუმენტების დაცვა და შენახვა

1.ა) 2019 წელს ყდაში ჩასმა-ჩაკერება ჩაუტარდა სულ 25 158 საქმეთა ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20460 საქმეთა ერთეულისა და გეგმა შესრულდა 123%-ით. მათ შორის საარქივო სამმართველოში ყდაში ჩასმა-ჩაკერება ჩაუტარდა 19 825 საქმეთა ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1504 ს/ერთეულისა და გეგმა შესრულდა 120 %-ით.

ტერიტორიულ ორგანოს არქივებში ყდაში ჩასმა-ჩაკერება ჩაუტარდა სულ 5333 საქმეთა ერთეულს: ქობულეთის არქივში 2350 ს/ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1017 ს/ერთეულისა და გეგმა შესრულდა 231%-ით; ხელვაჩაურის არქივში 1575 საქმეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1540 საქმისა და გეგმა შესრულდა 102 %-ით; ქედის არქივში -59 საქმეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 საქმისა და გეგმა შესრულდა 118 %-ით; შუახევის არქივში 1036 საქმეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1036 საქმისა და გეგმა შესრულდა 100%-ით; ხულოს არქივში 313 საქმეს, ნაცვლად გეგმით

გათვალისწინებული 313 საქმისა და გეგმა შესრულდა 100%-ით. (დანართი I.1 ა.პუნქტი).

აღნიშნული სამუშაოს გეგმის გადაჭარბება გამოიწვია, გაციფრისათვის, დიგიტალიზაციის პროცესისათვის ფონდებისა და საქმეთა მოწესრიგებამ და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში (ქობულეთი, ხელვაჩაური) გაციფრისათვის საქმეთა მომზადების პროცესმა .

ბ) 2019 წელს საარქივო სამმართველოში მარტივი ფურცლოვანი რესტავრაცია ჩაუტარდა 31 452 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 22578 ფურცლისა და გეგმა შესრულდა 139 %-ით. (დანართი–1.1 ბ.პუნქტი).

გეგმის გადაჭარბება გამოწვეულია გაციფრვისათვის ფონდების საქმეთა მომზადების გამო.

2. განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტების გამოვლენა.

გეგმის მიხედვით 2019 წელს გადათვალიერდა, განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტების გამოსავლენად 1939-1995 წლების ქაღალდსაფუძვლიანი, საქართველოს სახელმწიფო რეოლუციური მუზეუმის ფონდი რ-1168-ის საქმეები. სულ გადათვალიერდა 510 დოკუმენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 510 შ/ერთეულისა. გამოვლინდა 23 განსაკუთრებულად ღირებული ქაღალდისფუძიანი დოკუმენტი და გეგმა შესრულდა 100 %-ით. შედგა აღწერილობითი სია. სია განხილული იქნა საექსპერტო შემოწმებელ კომისიაზე. (დანართი I.2. ა. პუნქტი).

3. დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება.

საარქივო სამმართველოსა და სამმართველოს ტერიტორიულ ორგანო – არქივებში დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება ჩაუტარდა სულ 37 272 შ/ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17100 საქმისა და გეგმა შესრულდა 217%-ით. მათ შორის: მმართველობითი-ქაღალდსაფუძვლიანი 25168 შ/ერთეულის 2.062 595 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14626 შესანახი ერთეულისა და გეგმა შესრულდა 172%-ით. პირადი შემადგენლობის 12104 შ/ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2474 შ/ერთეულისა და გეგმა შესრულდა 489 %-ით.

საარქივო სამმართველოში მმართველობითი ხასიათის დოკუმენტებს არსებობა და მდგომარეობა ჩაუტარდა 18 636 საქმეთა ერთეულის 1.882 052

ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9111 საქმისა და გეგმა შესრულდა 204%-ით, ტერიტორიული ორგანოს – არქივებში: **ქობულეთის** არქივში 2041 საქმეთა ერთეულის 68579 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1395 საქმისა და გეგმა შესრულდა 146 %-ით, **ხელვაჩაურის** არქივში 2235 საქმეთა ერთეულის 84659 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1865 საქმისა და გეგმა შესრულდა 119 %-ით. **ქედის არქივში** 273 საქმის 6197 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 272 საქმისა და გეგმა შესრულდა 100 %-ით, **შუახევის** არქივში 1077 საქმის 21108 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1071 საქმისა და გეგმა შესრულდა 100%-ით, **ხულოს** არქივში 912 საქმეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 912 საქმისა და გეგმა შესრულდა 100 %-ით. (დანართი I.3.ა.)

ასევე საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება ჩაუტარდა **პირადი** შემადგენლობის სულ 12 104 საქმეთა ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2474 საქმისა და გეგმა შესრულდა 489%-ით მათ შორის საარქივო სამმართველოში 11635 საქმეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2008 საქმისა და გეგმა შესრულდა 579%-ით.

ტერიტორიულ ორგანოს არქივებში: **შუახევის** არქივში 469 საქმეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 466 საქმისა და გეგმა შესრულდა 100%-ით (დანართი I.3.ბ. პუნქტი). პირადი შემადგენლობის საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება გეგმით არ იყო გათვალისწინებული ტერიტორიულ ორგანო ქობულეთის, ხელვჩაურის, ქედის და ხულოს არქივებში.

პირადი შემადგენლობის საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმების გეგმის გადაჭარბებით შესრულება გამოიწვია ფონდსაცავის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებამ. ფონდსაცავიდან პირადი შემადგენლობის დოკუმენტების სხვა საცავებში განთავსების გამო.

2019 წელს არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება ჩაუტარდა 1500 ფოტოდოკუმენტს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1500 ფოტოდოკუმენტისა და გეგმა შესრულდა 100%.

II – დოკუმენტების საინფორმაციო საძიებო სისტემის შექმნა და განვითარება

4. **დოკუმენტების აღწერა.**

დოკუმენტების საინფორმაციო – საძიებო სისტემის შექმნისა და განვითარების კუთხით 2019 წელს **სამმართველოში, ხელვაჩაურის, ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს არქივებში** ქაღალდსაფუძვლიან საქმეთა აღწერა, გეგმით არ იყო გათვალისწინებული.

2019 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 1200 ფოტოდოკუმენტის აღწერა. აღიწერა 4035 ფოტოდოკუმენტი და გეგმა შესრულდა 336%-ით.

5. **დოკუმენტების ანაწერების გადამუშავება-გაუმჯობესება**

მმართველობითი დოკუმენტების ანაწერების გადამუშავება-გაუმჯობესების მიზნით საარქივო სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში გაუმჯობესება-გადამუშავება ჩაუტარდა სულ 40 ფონდის 6701 საქმეთა ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2328 საქმეთა ერთეულისა და გეგმა შესრულდა 287%-ით. აღიწერა 3796 საქმეთა ერთეული, გასანადგურებლად გამოიყო 2370 საქმე, ტექნიკური დაზუსტება + 49 ;– 305, 279 ს/ერთეული გადატანილია სხვა ფონდებში.

აქედან საარქივო **სამმართველოში** გაუმჯობესება-გადამუშავება ჩაუტარდა 19 ფონდის 2151 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2148 საქმისა და გეგმა შესრულდა 100%-ით. აღიწერა 1237საქმე, მაკულატურაში გამოიყო 683 საქმე, ტექნიკური დაზუსტება +40;–237. 34 შესანახი ერთეული გადავიდა სხვა ფონდებში.

ტერიტორიული ორგანოს არქივებში გაუმჯობესება-გადამუშავება ჩაუტარდა **მმართველობითი ხასიათის** 12 ფონდის 2002საქმეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1519 საქმისა და გეგმა შესრულდა 131-ით. აღიწერა1871 საქმე, გასანადგურებლად გამოიყო 136 საქმე, ტექნიკური დაზუსტება +5 ;– 0 .

ტერიტორიულ ორგანო არქივებში ასევე გაუმჯობესება-გადამუშავება ჩაუტარდა პირადი შემადგენლობის სულ 9 ფონდის 2548 ს/ერთეულს. ანაწერი შედგა 688 ს/ერთეულზე, გასანადგურებლად გამოიყო 1551ს/ერთეული, ტექნიკური დაზუსტება +4, -68 -ს. 245 ს/ერთეული გადავიდა #1 ანაწერში.

სამმართველოს, ხელვაჩაურის და **ქედის** არქივში გაუმჯობესება-გადამუშავება გეგმით არ იყო გათვალისწინებული (იხ. დანართი II.5 ა.ბ).

ასევე გაუმჯობესება-გადამუშავება ჩაუტარდა საარქივო სამმართველოში დაცულ 2200 ფონოდოკუმენტს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2000

ფონოდოკუმენტისა და გეგმა შესრულდა 110%-ით. გადამუშავების დროს მაკულატურა არ გამოყოფილა (იხ. დანართი II.5გ.).

6. დოკუმენტების კატალოგიზაცია გეგმით არ იყო გათვალისწინებული

III-ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირება.

7. დოკუმენტების მიღება.

2019 წელს საარქივო სამმართველოსა და მისი ტერიტორიულ ორგანოს არქივებში, სახელმწიფო შენახვაზე მიღებულია ქაღალდისფუძიანი სულ 3268 საქმეთა ერთეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2328 საქმისა და გეგმა შესრულდა 140%-ით. აქედან მიღებულია **მმართველობითი** ხასიათის სულ 2105 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1529 საქმისა და გეგმა შესრულდა 137%-ით. ასევე მიღებულია **პირადი წარმოშობის** 92 ს/ერთეული და **პირადი შემადგენლობის** სულ 1163 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 739 საქმისა და გეგმა შესრულდა 145%-ით.

საარქივო **სამმართველოში** მიღებული და აღრიცხვაზე აყვანილია სულ მმართველობითი ხასიათის საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული საქმისა და გეგმა შესრულდა %-ით. მიღებულია პირადი შემადგენლობის ს/ერთეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული საქმისა და გეგმა შესრულდა %-ით.

ტერიტორიულ ორგანოს არქივებში მიღებულია სულ **მმართველობითი** ხასიათის 627 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 560 საქმისა და გეგმა შესრულდა 111%-ით: **ქობულეთის არქივში** 130 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 125 საქმისა, და გეგმა შესრულდა 104%-ით, **ხელვაჩაურის** არქივში მიღებულია 158 საქმე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 150 საქმისა და გეგმა შესრულდა 105%-ით. **ქედის არქივში** მიღებულია 107 საქმე – ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 65 საქმისა და გეგმა შესრულდა 164%-ით, **შუახევის** არქივში მიღებულია 103 საქმე – ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 100 საქმისა და გეგმა შესრულდა 103%-ით, **ხულოს არქივში** მიღებულია 129 საქმე – ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 120 საქმისა და გეგმა შესრულდა 107%-ით.(იხ.დანართი- III 7.ა.ბ.)

2019 წელს სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში მიღებული იქნა **პირადი შემადგენლობის** სულ 1163 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 799 საქმისა და გეგმა შესრულდა 145%-ით. აქედან: საარქივო

სამმართველოში – მიღებული იქნა 681საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 444 საქმისა და გეგმა შესრულდა 153%-ით; **ქობულეთის** არქივში მიღებული იქნა 148 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 105 საქმისა და გეგმა შესრულდა 140%-ით; **ხელვაჩაურის** არქივში მიღებულია პირადი შემადგენლობის 111 ს/ერთეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 75 საქმისა და გეგმა შესრულდა 148%-ით; **ქედის** არქივში მიღებული იქნა 48საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 35 საქმისა და გეგმა შესრულდა 137%-ით; **შუახევის** არქივში მიღებული იქნა 60 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 60 საქმისა და გეგმა შესრულდა 100%-ით; **ხულოს** არქივში მიღებული იქნა 115 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 80 საქმისა და გეგმა შესრულდა 143%-ით;

ასევე მიღებული იქნა ფოტოდოკუმენტები: საარქივო სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში მიღებულია სულ 2118 ფოტოდოკუმენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 790 ფოტოდოკუმენტისა და გეგმა შესრულდა 268%-ით;. აქედან საარქივო **სამმართველოში** მიღებულია 2000 ფოტოდოკუმენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 700 ფოტოდოკუმენტისა და გეგმა შესრულდა 285%-ით, ხოლო ტერიტორიულ ორგანოს არქივებში, სულ მიღებულია 118 ფოტოდოკუმენტი. აქედან **ქობულეთის** არქივში მიღებულია 26 ფოტოდოკუმენტი, **ხელვაჩაურის** არქივში 27 ფოტოდოკუმენტი, **ქედის** არქივში 12 ფოტოდოკუმენტი, **შუახევის** არქივში ფოტოდოკუმენტი 35 ფოტოდოკუმენტი, **ხულოს** არქივში 18 ფოტოდოკუმენტი.(იხ. დანართი – III.7 ა.გ.დ. პუნქტი).

მიღებული საქმეები შემოწმდა და შედარდა საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიაზე დამტკიცებულ აღწერილობით სიებს, შემოწმდა საქმეთა ფიზიკური მდგომარეობა და სათანადო საქმეთა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ განთავსდა ფონდსაცავების თაროებზე. მიღებული ფოტოდოკუმენტები დალაგდა თემატურად. თითოეული ფოტო ჩაიწყო კონვერტში, გაიშიფრა და ანოტაცია გაუკეთდა ფოტოზე ასახულ მოვლენებს, რომლებიც შეიცავენ ჩვენი კუთხის ისტორიის ამსახველ მოვლენებს. შემოტანილ მასალებზე შედგა ფოტოანაწერები თემების მიხედვით. ასევე ფოტო ფირებზე აღიბეჭდა საარქივო სამმართველოში გამართული სხვადასვა ღონისძიებები.

8. დოკუმენტების მიზნობრივ-შემფასებელი ექსპერტიზა – გადათვალიერება.

2019 წელს სამმართველოს ცენტრალურ არქივსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში დაცული დოკუმენტების მიზნობრივ-შემფასებელი ექსპერტიზა ჩაუტარდა **პირადი შემადგენლობის** 96 ფონდის სულ 22462 საქმეს – ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1916 საქმისა და გეგმა შესრულდა 1172%-ით, მაკულატურაში გამოიყო სულ 3772 საქმე, აღწერილობითი სია შედგა 18415 შესანახ საქმეთა ერთეულზე. 275 საქმე გადავიდა მუდმივ შესანახად.

პირადი შემადგენლობის ფონდსაცავის სარემონტო-სარეგილიტაციო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით საჭირო გახდა ფონდსაცავის დაცლა და საქმეების გადაზიდვა, რისთვისაც შეიქმნა მიზნობრივ-შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარების სამუშაო ჯგუფი და მოხდა დაჩქარებული წესით ფონდების ექსპერტიზა და ვადაგასული დოკუმენტების გასანადგურებლად გამოყოფა, ფონდების გადატანის სამუშაოთა განტვირთვის მიზნით.

აქედან საარქივო **სამმართველოში** ექსპერტიზა ჩაუტარდა 90 ფონდის 21 314 საქმეს, მაკულატურაში გამოიყო 3644 საქმეს და ფონდში დარჩა 17 670 საქმეთა ერთეული.

ტერიტორიულ ორგანოს არქივებში ექსპერტიზა ჩაუტარდა პირადი შემადგენლობის 6 ფონდის სულ 1148 საქმეთა ერთეულს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1022 საქმეთა ერთეულისა და გეგმა შესრულდა 112%-ით, მაკულატურაში გამოიყო 128 საქმე და ანაწერი შედგა 745 შ/ ერთეულზე. 275 ს/ერთეული გადავიდა მუდმივ შესანახად (საკომლო წიგნები).

ქობულეთის და ქედის არქივებში საქმეების მიზნობრივი ექსპერტიზა გეგმით არ იყო გათვალისწინებული. (იხ. დანართი III.8.ა,გ. პუნქტი).

9. საარქივო სამმართველოს საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმეთა ანაწერების დამტკიცება (შეთანხმება).

2019 წელს საარქივო სამმართველოში ჩატარდა მუდმივმოქმედი საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის 7 სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა დაწესებულება-ორგანიზაციის 93 საკითხი, მათ შორის მმართველობითი ხასიათის 5260 საქმე, ხანგრძლივად შესანახი – 2390 საქმე, ფოტოდოკუმენტი – 2118 . აქტის მიხედვით გასანადგურებლად შეირჩა – 19051საქმეთა ერთეული. ასევე განხილული